ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული დემოკრატი

**ბოიკოტი საბჭოთა არჩევნებს!**

საქ. ედპ-IV დასის კახეთის კომიტეტის საინფორმაციო ბიულეტენი ● №1, 1990წ.

## გზა დაელოცოს!

დღეს, როდესაც მთელი საქართველო ეროვნულმა მოძრაობამ მოიცვა, ბუნებრივია, რომ ვერც კახეთი, საქართველოს განუყოფელი და ორგანული ნაწილი, ვერ დადგება განზე და უბრალო მეთვალყურის როლით ვერ დაკმაყოფილდება. კახეთი ნელა, მძიმედ იღვიძებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ერთ მშვენიერ დღეს ისე იქუხებს, რომ მთელი ქვეყანა გაიგებს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ კახელთა ხმას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – IV დასის კახეთის კომიტეტის ეს ბიულეტენიც სწორედ საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის გამოღვიძების, პოლიტიკური დონის ამაღლებისა და ხალხის სულიერი განათლების საქმეს უნდა ემსახუროს. მისია რთულია, მძიმე და საპატიო. ღმერთი შეეწიოს ამ კეთილშობილური წამოწყების ინიციატორებს! გზა დაელოცოს ახალ საინფორმაციო ბიულეტენს!

გ ი ო რ გ ი ჭ ა ნ ტ უ რ ი ა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – IV დასის თავმჯდომარე

# მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას!

1990 წ. 5 იანვარს ქ.თბილისში, მთავრობის სახლის წინ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და მონარქისტთა პარტიის ინიციატივით დაიწყო აქცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგით.

6 იანვარს აქციას შემოუერთდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები. ამავე დღეს სკკპ ცკ პოლიტბიუროს მისამართით აქციის მონაწილეებმა გაგზავნეს დეპეშა.

8 იანვარს გამოცხადდა შიმშილობა, რომელშიც მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაციები მონაწილეობენ.

თბილისში დაწყებული აქციის მხარდასაჭერად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – IV დასის გურჯაანის კომიტეტმა იმავე დღეს რაიკომის შენობის წინ გამართა მიტინგი. ედპ – IV დასის წევრებმა ბ.ბეციაშვილმა და ჯ.ჯავახიშვილმა ინფორმაცია გააკეთეს სამაჩაბლოში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის შესახებ. ხაზი გაესვა კრემლის როლს, როგორც ეროვნებათშორის შუღლის ინსპირატორს. ითქვა, რომ საჭიროა არ ავყვეთ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციებს და მთელი ძალები მივმართოთ მთავარი მიზნისკენ – აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებლობა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: სახალხო ფრონტის წევრი თ.ქურდაძე, სოფ.კალაურის მკვიდრი ა.დემეტრაშვილი და ქ.გურჯაანში მცხოვრები გ.ჭამიაშვილი.



ბოლოს მომიტინგეთა ნაწილი გაემგზავრა თბილისში აქციის მონაწილეთა მხარდასაჭერად.

9 იანვარს თბილისში დაიწყო გაფიცვები. გაიფიცა თითქმის ყველა რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების საწარმო. მთლიანად გაიფიცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

10 იანვარს ხალხმა ჩამოაგდო ძერჟინსკის, კამოსა და ბორის ძნელაძის ძეგლები.

12 იანვარს ქ.ლაგოდეხის ცენტრში, თბილისში მიმდინარე აქციის მხარდასაჭერად ჩატარდა ხალხმრავალი მიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა 1990წ.



# მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას!

ინგი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ედპ – IV დასის ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ედპ – IV დასის წევრები გ.ხიდეშელი, გ.მჭედლიშვილი და სხვ. გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე და გააკეთეს ინფორმაცია თბილისში მიმდინარე აქციის შესახებ. მომიტინგეებმა მიიღეს რეზოლუცია რითაც მხარი დაუჭირეს ამ აქციას. იმავე საღამოს მიტინგის მონაწილენი გაემგზავრნენ თბილისში. მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე IV დასის წევრმა დ.ლობჟანიძემ წაიკითხა ლაგოდეხში მიღებული რეზოლუციის ტექსტი.

12 იანვარს, ქ.გურჯაანში ჩატარდა მიტინგი, რომელიც მოეწყო ედპ – IV დასის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით.

გამომსვლელებმა 15 იანვრიდან რაიონის მოსახლეობას მასობრივი გაფიცვებისაკენ მოუწოდეს. მიტინგის მსვლელობისას კომკავშირის ბილეთი დატოვა ხუთმა, ხოლო კომუნისტური პარტიის მანდატი ორმა მოქალაქემ.

13 იანვარს ქ.ყვარელში ედპ – IV დასის კახეთის კომიტეტის წევრებმა ჩაატარეს მიტინგი. გამომსვლელებმა ინფორმაცია გააკეთეს თბილისში მიმდინარე აქციის შესახებ და ყვარლის საზოგადოებას გაფიცვისაკენ მოუწოდეს. იქვე ითქვა, რომ საჭიროა აქტიური ბოიკოტი გამოვუცხადოთ საბჭოთა არჩევნებს, არ ავყვეთ კომუნისტური პარტიისა და ამ პარტიის მიერ ინსპირირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მცდელობას, შეიყვანონ საზოგადოება შეცდომაში და დააჯერონ ე.წ. "კარგი" დეპუტატების არჩევის აუცილებლობაში, რადგანაც ეს უკანონო და მარიონეტული მთავრობის ე.წ. პარლამენტი ყოველგვარ რეალურ ძალაუფლებასაა მოკლებული.

15 იანვარს, ქ. გურჯაანში, დილით ქარხანა "საქელექტრომანქანის" მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ედპ –IV დასისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის რაიონული ორგანიზაციების მოწოდებას გაფიცულიყვნენ. ისინი გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ. მანიფესტანტებს შემოუერთდნენ საკონსერვო და ნაწილობრივ ღვინისა და მექანიკური ქარხნის მუშები. ქალაქის ცენტრში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი,რის შემდეგაც მომიტინგეთა ნაწილი გაემგზავრა თბილისში მოშიმშილეთა მხარდასაჭერად.

**პოზიცია**

# ვებრძოლოთ სისტემას!

საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა დღითიდღე იკრებს ძალებს და ღონიერდება, განივრცობა ყოველ მხრით და აღვიძებს ქართველი ერის მიძინებულ პოლიტიკურ ცნობიერებას. შექმნილია მრავალი პოლიტიკური პარტია თუ ორგანიზაცია, რომლის ჯანსაღი ნაწილი თავგამოდებით იბრძვის ქართველი ხალხის სანუკვარი მიზნის – დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს პოლიტიკური ორგანიზაციების სიმრავლის გამო. ხშირ შემთხვევაში, აღშფოთებასაც გამოხატავს ამაზე. ეს ჩვენ არასწორად მიგვაჩნია და აი, რატომ: არ შეიძლება არსებობდეს პოლიტიკური ორგანიზაცია თუ მისი ლიდერი, თავისი მოღვაწეობის ამა თუ იმ ეტაპზე რაიმე შეცდომა რომ არ დაუშვას და მუდამ სწორი გზით წარმართოს ეროვნული მოძრაობა; ხოლო ის შეცდომა კი, რომელსაც ის თუნდაც ერთხელ დაუშვებს და, შესაძლოა, თავდაპირველი სახით უმნიშვნელოდ ჩაითვალოს, არ არის გამორიცხული, მომავალში საბედისწერო აღმოჩნდეს და ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ამიტომ, აუცილებელია არა თუ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, არამედ დღესვე გავაანალიზოთ ყველა ორგანიზაციის ბრძოლის გზა, ვისწავლოთ პოლიტიკური სიტუაციის შეფასება და ავირჩიოთ იმ პარტიის სტრატეგიული კურსი, რომელიც თავიდან აგვაცილებს საბედისწერო შეცდომებს თავისუფლებისაკენ მავალ ამ ურთულეს გზაზე.

დღესდღეობით საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების ნაწილი გაერთიანებულია ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში. ისინი რადიკალურად უპირისპირდებიან კრემლის ტოტალიტარულ რეჟიმს; რადგან მიაჩნიათ, რომ ეროვნული და სოციალური უსამართლობის სათავე მხოლოდ არსებული საბჭოური სისტემის წიაღშია საძიებელი. ამავე დროს ეფუძნებიან რა იმ ფაქტს, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წელს მოახდინა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ანექსია და ძალად თავს მოახვია ქართველ ერს საბჭოთა წყობილება, არ სცნობენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას, უარს ამბობენ მასთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე, ბოიკოტს უცხადებენ ყოველგვარ საბჭოურს და მოითხოვენ დამოუკიდებლობის აღდგენას.

პოლიტიკური ორგანიზაციების მეორე ნაწილი კი, მართალია აღიარებს საქართველოს ანექსიას, მაგრამ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, იბრძვის ლიბერალური, საბჭოური სისტემის თანდათანობით გარდაქმნის პრინციპით.

როგორც ცნობილია, კრემლი "პერესტროიკის" სახელით ატარებს იმპერიის მოდერნიზაციის კამპანიას. საბჭოთა კავშირში უკანასკნელ დროს შექმნილმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა იძულებული გახადა კრემლის მესვეურები გარკვეული ცვლილებები გაეტარებინათ პოლიტიკისა თუ ეკონომიკის სფეროში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს,რომ მათ ხელი აიღეს იმპერიულ ზრახვებზე. ისინი ამ ცვლილებებით ცდილობენ მოჩვენებითი დემოკრატიით შეცდომაში შეიყვანონ ჩაგრული ერები და ცალკეული დათმობებით შეუქმნან მათ ილუზია თითქოსდა შესაძლებელი იყოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის გარეშეც მონობის უღლის გადაგდება. იმავდროულად კი კრემლის მესვეურები ცდილობენ კატასტროფამდე მისული ქვეყნის ეკონომ- →

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკურ მოლონიერებასა და მსოფლიოში უკანასკნელი "ბოროტების იმპერიის" სიცოცხლის გახანგრძლივებას.

ამ დროის განმავლობაში, ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პერიოდში, იმპერიის მესვეურებს ნაკლებად აშინებთ ხალხის აქტიურობა, რომელიც მიმართულია რომელიმე რიგითი ინსტანციისა, ან პიროვნების წინააღმდეგ - კრემლი თანახმაა ყველაფერი ეს დააბრალოს ბიუროკრატიულ მმართველ აპარატს და ე.წ. უძრაობის წლების გადმონაშთებს. ეს მათთვის საჭიროა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყველაფერი გამიზნულია იმისათვის, რათა შეალამაზონ არსებული ტოტალიტარული რეჟიმი.

ბრძოლა საბჭოური წყობილების წინააღმდეგ, ეს არის დაპყრობილი ერების მიერ მონობის უღლის გადასაგდებად მიმართული სამართლიანი ბრძოლა. ვინაიდან იმპერიის მესვეურნი ამას კარგად გრძნობენ, მათ სპეციალურად შექმნეს ე.წ. პატრიოტული ორგანიზაციები. ასეთ კოლაბორაციონისტულ ორგანიზაციებს შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოების ნაწილი, დაბლა სცემენ მათ პოლიტიკურ შეგნებას და ერის ძალებს წარმართავენ არა არსებული სისტემის, არამედ ცალკეული თანამდებობის პირების წინააღმდეგ.

სწორედ ამგვარი პოზიციის გამოხატულება იყო ა.წ. 20 იანვარს ქ.გურჯაანში რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარებული მიტინგი, რომელიც მიზნად ისახავდა რაიკომის პირველი მდივნის მოხსნას. მის მიმართ წაყენებული ბრალდებების უმრავლესობა სწორი იყო. ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულობანი, რამაც მიტინგის მსვლელობის დროს ჰპოვა ემოციური გამოხატულება. მიტინგის მონაწილეთა მიერ მიღებული რეზოლუცია გაეგზავნა საქართველოს ე.წ. მთავრობას. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ არ ვებრძვით სისტემას, ჩვენ ვებრძვით პიროვნებას. ეს პოზიცია, ჩვენის აზრით, ნებით თუ უნებლიედ, ფაქტიურად არის "პერესტროიკის" ხელის შეწყობა და საზოგადოების წარმართვა კრემლისათვის ნაკლებად საშიში გზით, ანუ იმ მიმართულებით, რომელიც იმპერიას რეალურ საფრთხეს არ უქმნის. ამ მიტინგის ორგანიზატორების არასწორი პოზიციის გამო იქ დამსწრე საზოგადოება აცდა განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორ გზას.

მიტინგის მსვლელობის დროს ორატორები ერთხელაც არ შეეხნენ რაიონის მომავალს, ისინი სდუმდნენ ამ საკითხის ირგვლივ, რადგან მათ კარგად მოეხსენებათ, რომ "ჯარგი" რაიკომის მდივანი არ არსებობს. მაგრამ ეს აქცია შეიძლება გაამართლონ იმით, რომ ყოფილი რაიკომის მდივნის მოქმედება გასცდა ამ თანამდებობისათვის დამახასიათებელი დამნაშავეობის საზღვრებს, მაგრამ ვერავითარ გამართლებას ვერ უპოვიან იმას, რომ ხალხი გამარჯვებულის სულისკვეთებით დატოვეს, თითქოსდა ამით ბოლო მოეღებოდა ყოველგვარ უსამართლობას.

ბ. ბეციაშვილი
ზ. ჭიჭიკაშვილი
პ. ჯავახიშვილი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული
პარტია-IV დასის გურჯაანის ორგანიზაცია

# ინფორმაციები

ა.წ. 6 იანვარს ედპ-IV დასის გურჯაანის საზოგადოების ინიციატივით სოფ. მელაანში ჩატარდა მიტინგი, სადაც განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია.
2. საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი
3. ეროვნული სათათბიროს არჩევნები
4. ეთნოკონფლიქტები საქართველოში
5. მომავალი რეფერენდუმის შესახებ
6. სხვადასხვა

აღნიშნული საკითხების ირგვლივ ისაუბრეს ედპ-IV დასის წევრებმა ბ. ბეციაშვილმა და ვ.გორხელაშვილმა. სიტყვა წარმოთქვეს ეროვნული სამართლიანობის პარტიის წევრმა დ. ნიკოლაშვილმა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გურჯაანის კომიტეტის წევრმა მ. გიგიაშვილმა, სოფლის მკვიდრმა გ. ბეჟუაშვილმა და შ. ჯავახიშვილმა.

6 იანვარს, ქ. ლაგოდეხში, სასტუმრო "ჰერეთის" წინ მდებარე მოედანზე ჩატარდა ქრისტეშობის დღესასწაული - სადმი მიძღვნილი ღონისძიება. მამა ილარიონის მიერ აღსრულებული ლოცვისა და წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ქრისტიანული სარწმუნოების ირგვლივ ისაუბრეს დ.ლობჟანიძემ და გ. ხიდეშელმა. ღონისძიებაზე ისიც ითქვა, თუ რა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა ქართველი ერი. მისი სულიერი სამყარო კომუნისტური იდეოლოგიის კარნახით ეკლესიისადმი ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ და ათეიზმის ქადაგებამ.

სიტყვით გამოსულმა გ. მჭედლიშვილმა წაიკითხა კომკავშირის რაიკომის სახელზე შემოსული განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 30-მდე ახალგაზრდა. მათ მოითხოვეს კომკავშირის რიგებიდან დაუყოვნებლივი გასვლა. ზოგიერთმა მათგანმა კომკავშირის ბილეთი საჯაროდ დაწვა. გარდა ამისა დ. ლობჟანიძემ წაიკითხა ლ. ხაჩიძის განცხადება სკკპ რიგების დატოვების შესახებ.

1989 წლის დეკემბერში, ქ. ლაგოდეხში შედგა ედპ - IV დასისა და სახალხო ფრონტის რაიონული ორგანიზაციების შეხვედრა. გაიმართა დებატები საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ედპ - IV დასი აქტიურ ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს და ამისკენ მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას. დებატების შედეგად, სახალხო ფრონტის წარმომადგენელთა ნაწილი საბჭოთა არჩევნებისადმი აქტიური ბოიკოტის პოზიციაზე დადგა, რაც გამოიხატა მათი პიროვნული წვლილით ამ პოზიციის აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში. ამან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი სახალხო ფრონტის რიგებში. მართალია მათ აღიარეს ბოიკოტის მართებულობა, მაგრამ ვერ გასცდნენ ორგანიზაციულ ჩარჩოებს და დაუბრუნდნენ ძველ პოზიციას.

# ინფორმაციები

ედპ – IV დასის ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის წევრები შეხვდნენ ი.გოგებაშვილის სახ.ლაგოდეხის №3, სოფ. ნინიგორის საშუალო სკოლების პედაგოგებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს, აგრეთვე ლაგოდეხის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებსა და რაიონის ბიბლიოთეკათა თანამშრომლებს. შეხვედრების დროს საუბრის ძირითადი თემა იყო საბჭოთა არჩევნებისადმი დამოკიდებულება. თანამოსაუბრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ აუცილებელი და მართებულია აქტიური ბოიკოტი გამოვუცხადოთ საბჭოთა არჩევნებს.

1989წლის 3 დეკემბერს ქ. ლაგოდეხში შედგა ედპ-IV დასის კახეთის კომიტეტის გაფართოებული სხდომა. დღის წესრიგში იყო რეგიონული საინფორმაციო ბიულეტენის დაარსება-გამოცემის საკითხი. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბიულეტენი გამოვიდეს 1990 წლის იანვრიდან; აგრეთვე გაიმართა მსჯელობა რეგიონში არსებულ ხხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე. აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში საჭიროა მოეწყოს შეხვედრა თელავის საზოგადოებრიობასთან.

4 დეკემბერს კახეთის კომიტეტის წევრები შეხვდნენ ქ.თელავის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მცირე ნაწილს. შეხვედრაზე საუბარი გაიმართა ეროვნულ მოძრაობაში არსებულ წინააღმდეგობებსა და სამაჩაბლოში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე. სიტყვები წარმოთქვეს ედპ-IV დასის წევრებმა ბ. ბეციაშვილმა, გ. ხიდეშელმა და სახალხო ფრონტის თელავის ფილიალის თავმჯდომარემ ჯ.ჯიჯეიშვილმა. შეხვედრის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ მსგავსი ღონისძიებები ჩატარდეს სისტემატურად.

# განცხადებები

გურჯაანის რაიონში შექმნილია ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის საინიციატივო ჯგუფი. როგორც მოგეხსენებათ, ასოციაცია ქრისტიანულ-დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ალტერნატიული ორგანიზაციაა. ასოციაციის ნამდვილი წევრი შეიძლება იყოს მოქალაქე 18-დან 35 წლამდე, რომელიც არ შედის სხვა პოლიტიკურ გაერთიანებაში. 14-დან 18 წლამდე და 35 წელს ზევით ასაკისანი სარგებლობენ თავისუფალი წევრის უფლებებით.

შექმნილია პარტიული სტრუქტურის მქონე საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის საინიციატივო ჯგუფი. გათვალისწინებულია, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაცია იქნება კავშირის საბაზო ორგანიზაცია.

გურჯაანის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა პოლიტიკური შეხედულებების გამო დატოვეს კომკავშირული ორგანიზაციის რიგები. ჯგუფი შექმნილია №1, №3 და ჭანდრის საშუალო სკოლების მოსწავლეთა ბაზაზე. მათი სამუშაო ადგილია: ნონეშვილის №16, III სართული. საინიციატივო ჯგუფი იკრიბება ორშაბათსა და ხუთშაბათს 14-დან 17საათამდე.

შაბათს, 3 თებერვალს, 16 საათზე შედგება რაიონის ახალგაზრდობის შეხვედრა საქართველოს ქრისტიანულ- დემოკრატიული ახალგაზრდობის სათათბიროს წარმომადგენლებთან, რის შემდეგაც ჩატარდება სქდაა-ს გურჯაანის ფილიალის დამფუძნებელი კრება, რომელსაც გაუძღვება ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გ.ბურჯანაძე.(შეხვედრის ადგილს გაცნობებთ უახლოეს მომავალში).

ყოველ ხუთშაბათს, 17 სთ-ზე ედპ – IV დასის გურჯაანის რაიონული ორგანიზაცია ატარებს პოლიტიკურ დიალოგს საზოგადოებასთან. მსურველებს იქვე შეეძლებათ შეიძინონ არაოფიციალური თვითგამოცემითი ლიტერატურა.

მისამართი: ქ.გურჯაანი, ნონეშვილის 16, II სართ.

ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, აღნიშნული მისამართით III სართულზე.

ხუთშაბათობით, 17 საათზე, ქ. ლაგოდეხში სასტუმრო "ჰერეთის" წინ შესაძლებელია ედპ-IV დასის წევრებთან შეხვედრა და თვითგამოცემითი ლიტერატურის შეძენა.ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მსურველებს აგრეთვე შეუძლიათ გაეცნონ არაოფიციალური პრესის ძველ ნომრებსაც.

სარედაქციო კოლეგია:

ბესიკ ბეციაშვილი, ზაზა ჭიჭიკაშვილი,
კახა ჯავახიშვილი, გოგა ხიდეშელი.

რედაქციის მისამართი: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქუჩა №16, III სართული. ფ ა ს ი 1 მ ა ნ.